



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
აფხაზეთის მთავრობის ანგარიშზე

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	6
შემოსულობების ნაწილზე	6
გადასახდელების ნაწილზე	7
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	11
1.1 შემოსულობები	11
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	16
2.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი.....	20
2.1.1 მხარჯავი დაწესებულებები	21
2.1.2 არაფინანსური აქტივების ცვლილება	26
2.1.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირები.....	27
2.1.4 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება	29
2.2 სახელმწიფო შესყიდვები.....	31
2.3 მთავრობის სარეზერვო ფონდი	32
2.4 აღრიცხვა-ანგარიშგება.....	34
3. ნაშთი	35

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 მუხლით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომ – ა/რ) უმაღლესი საბჭოს (შემდგომ – უმაღლესი საბჭო) რეგლამენტის 121-ე მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მომზადებისათვის გამოყენებულია:

- ა) აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომ – ფინანსთა სამინისტრო) მიერ წარმოდგენილი „აფხაზეთის ა/რ-ის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის 9 თვის შესრულების ანგარიში“ (შემდგომ – მთავრობის ანგარიში);
- ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშები;
- გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები) მიერ შედგენილი ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები;
- დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომ – სას) მიერ მხარჯავ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის მასალები.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე (ანგარიშის მომზადებაზე)

შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	პასუხისმგებელია აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა (შემდგომ – მთავრობა); ანგარიშის საფუძველად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისათვის პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო; რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს 2023 წლის ბიუჯეტში 9 თვის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობების მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, აგრეთვე ხარჯების კანონიერებას; მოხსენების მომზადებისას გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობა, ხოლო აუდიტ(ებ)ის (მონიტორინგის) წარმართვისას, საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიც.
მთავრობის ანგარიშის მოცულობა და ფარგლები	ანგარიში უნდა მოიცავდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ ინფორმაციას დეტალური სახით: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით; ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან; ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის; ორგანიზაციული

კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის შესაძლო განმარტებას, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას.

მასშტაბი და მეთოდი

2023 წლის 9 თვის მონიტორინგით მოცულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებები (კერძოდ, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, მათზე დაქვემდებარებული სამინისტროები და უწყებები); მოპოვებულ იქნა აუცილებელი ინფორმაციები და ჩატარდა ანალიზური პროცედურები.

ზოგადი შეფასება/დასკვნა

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს 2023 წლის 9 თვის განმავლობაში მიღებული შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებაში ხაზგასმულია და ყურადღებაა გამახვილებული მთელ რიგ გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან საკითხზე.

შემაჯამებელი მიმოხილვა

შემოსულობების ნაწილზე

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, მიღებული შემოსულობების მოცულობამ 24 703,74 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესრულება – 121,1%) და წლიური (საანგარიშო პერიოდისთვის დაზუსტებული) გეგმის (27 700,0 ათასი ლარი) 89,1% შეადგინა. შემოსულობების (შემოსავლების) ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სპეციალური ტრანსფერის ზრდით, რამაც შეადგინა დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (10 436,96 ათასი ლარი) 134,1% (ფაქტობრივი შესრულება – 14 000,0 ათასი ლარი).

2022 წლის 9 თვის შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 75,1%-ს შეადგენდა. შესაბამისად, 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით (89,1%), შემოსავლების მობილიზება 14%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადის) შესრულების კუთხით ზრდა შეადგენს 8,2%-ს (გეგმის შესრულებამ შეადგინა – 107,5%, გასულ წელს – 99,3 %).

მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება სხვა შემოსავლების დაგეგმვის/შესრულების მხრივ, კერძოდ: მიმდინარე წლის სხვა შემოსავლების გეგმა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 110,25¹ ათასი ლარით და ამავდროულად გეგმის შესრულებაც შეადგენს 111,1%-ს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს გეგმის შესრულება მნიშვნელოვნად დაბალი – 88,5% იყო. სხვა შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლების მაღალი შესრულება ძირითადად გამოწვეულია გეგმით გათვალისწინებული „შემოსავლების საკუთრებიდან“ (პროცენტები) გეგმიური მაჩვენებლების მაღალი შესრულებით (136,4%). აღნიშნული უკავშირდება სპეცტრანსფერის მნიშვნელოვან ზრდას, რაც თავის მხრივ განაპირობებს (ხელს უწყობს)² „შემოსავლების საკუთრებიდან“ (პროცენტები) გეგმის მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით შესრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი მონაცემების სწორად გაანალიზების (შესაბამისი წინასწარი ინფორმაციის მოპოვების) და მიმდინარე წლის

¹ 485,25-375.

² სპეცტრანსფერის წინსწრებით ჩარიცხვა საბანკო ანგარიშზე იძლევა %-იდან შემოსავლების მობილიზების შესაძლებლობას.

მონაცემების სათანადო დაგეგმვის პირობებში, „სხვა შემოსავლების“ შესრულების ნაწილში არ უნდა დაფიქსირებულიყო ესოდენ მკვეთრი (არათანაბარზომიერი) ზრდა.

ამრიგად, ბიუჯეტის ფორმირებისას მისაღები შემოსავლების (სხვა შემოსავლების) დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია, წინასწარ მოპოვებული იქნას სრული ინფორმაცია და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის, განსაკუთრებით „სხვა შემოსავლების“ სწორ (თანაბარზომიერ) დაგეგმვა-შესრულებას.

გადასახდელების ნაწილზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2023 წლის ბიუჯეტის (საანგარიშო პერიოდისთვის დაზუსტებული)³ კანონით 20 664,57 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 9 თვის მდგომარეობით, ათვისების მაჩვენებელმა (20 330,54 ათასი ლარი) წლიური გეგმის (28 295,34 ათასი ლარი) – 71,9%, ხოლო 9 თვის გეგმის (20 664,57 ათასი ლარი) – 98,4% შეადგინა. შესაბამისად, მიმდინარე წლის 9 თვის (ფაქტი/გეგმა) მაჩვენებელი (98,4%) 0,9%-ით აღემატება 2022 წლის 9 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს (97,5%). უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების შეუსრულებლობის ფაქტი.

ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი როგორც ფუნქციონალურ ჭრილში, ისე ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევაში გადასახდელების დაბალი მაჩვენებლები გამოწვეულია არა მარტო გარკვეული ობიექტური მიზეზების არსებობით და/ან რესურსების გონივრული დაზოგვითა და მომჭირნეობით ხარჯვით, არამედ წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობითაც.

ამასთანავე საგულისხმოა, რომ იმ პირობებში, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი 121,1%-ითაა შესრულებული, გადასახდელების ნაწილში ფიქსირდება გეგმური მაჩვენებლების 1,6%-ით შეუსრულებლობა (გასული 2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 2,5% იყო). ამავდროულად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა

³ მიმდინარე წლის 9 თვის მაჩვენებელი.

და კულტურის სამინისტროს მთელი რიგი პროგრამების შესრულება, ისევე როგორც გასულ წელს, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში დაბალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი.

➤ გადასახდელების ათვისება:

) ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ გადასახდელების ათვისების პროცესი წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში თანაბრად არ წარიმართება და მკვეთრად გაიზრდება დეკემბერში, რაც წლის ბოლოს გაზრდის აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკებს. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მდგომარეობა, ისევე როგორც „წინა წლების არასახარბიელო ტრადიცია“, დაფიქსირდა 2022 წლის 9 თვის ანალიზისას, რაც შემდგომში დადასტურდა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისას, როდესაც დეკემბრის ხარჯვის მოცულობამ წინა 11 თვის ხარჯვის საშუალო მაჩვენებელს – 45%-ით გადააჭარბა. ამრიგად, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ასიგნებების დროულ და თანაბარზომიერ ათვისებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული გასული წლების მსგავსად საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების მასშტაბური ათვისება;

) გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა აფხაზეთის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და კულტურის, აფხაზეთიდან იძულებით პირთა – დევნილთა სამინისტროების ცალკეული პროგრამა (ქვეპროგრამა). შესაბამისად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სამინისტროების პროგრამების (ქვეპროგრამების) სწორად დაგეგმვას და გეგმური მაჩვენებლების შესრულებას;

) არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმის შესრულება არათანაბარზომიერებით და დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ცვლილება უნდა დაიგეგმოს დროში თანაბარზომიერი ხარჯვით და უნდა გააჩნდეს შესრულების მაღალი მაჩვენებელი;

) მიმდინარე წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ზოგიერთ სსიპ-ს გაზრდილი აქვს დაფინანსების გეგმა. მნიშვნელოვანია, სსიპ-ებიდან მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით სწორად (ადეკვატურად) იქნეს განსაზღვრული რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სსიპ-ების წლიური დაფინანსების თანხების ოდენობა. ორგანიზაციების სუბსიდირების წესით დაფინანსების პრაქტიკის სრულყოფის მიზნით, ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებიდან საწარმოო-საფინანსო გეგმების მიღება-შესრულების საკითხის გათვალისწინებით,

დაფინანსებული თანხები უნდა მიიმართოს მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნებზე.

➤ ხარვეზები შეინიშნება ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართული თანხების მართვის კუთხით:

) „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან ხელშეკრულებით დასაქმებული (შტატგარეშე) თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე მიმართული რესურსი არ ასახავს ამ მიზნობრიობით ათვისებული თანხების ეფექტიანობას.

ასევე:

) მთავრობის ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას ხელშეკრულებით დასაქმებული (შტატგარეშე) მომუშავეთა გეგმური ან/და ფაქტობრივი რაოდენობების შესახებ. შესაბამისად, ზოგადად, რთულია ამ მხრივ სახსრების ოპტიმალურად ხარჯვის შესახებ მსჯელობა;

) საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან ხორციელდება ხელშეკრულებით დასაქმებული (შტატგარეშე) მომუშავეების გრძელვადიან პერიოდში დასაქმება გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე.

➤ საყურადღებოა სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზები, კერძოდ:

) სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებულია ხშირი და არსებითი ცვლილებები;

) რიგ შემთხვევაში მხარჯავი დაწესებულებების მიერ სათანადოდ არ ხორციელდება ბაზრის წინასწარი კვლევა და მიმდინარე პერიოდში შესასყიდი ობიექტის სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზრის შესწავლა აუცილებელია განხორციელდეს შესყიდვების სხვადასხვა ეტაპზე, ინფორმაცია უნდა შეიკრიბოს განსხვავებული წყაროებიდან და შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ბაზრის შესწავლის შედეგების სათანადოდ დოკუმენტირება.

➤ მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა დევნილთა მატერიალური დახმარების გაცემის პრაქტიკა და შემცირდა ხარჯები, მიმდინარე წლის 9 თვეში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია და გახარჯულია თანხები დევნილთა მატერიალური დახმარების გასაწევად, თუმცა მსგავსი მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია აფხაზეთის ა/რ-ის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროსა და ზემო აფხაზეთში

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის წარმომადგენლობის შესაბამის პროგრამებში.⁴ გარდა აღნიშნულისა, სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის ღონისძიების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების განსაზღვრა რიგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტში დაგეგმვის ეტაპზე – ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

ამრიგად, მიზანშეწონილია სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოს რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობები სწორად და დროულად განისაზღვროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე იყო შესაძლებელი.

➤ მთავრობის ანგარიშში, მიუხედავად არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი, დეტალური ინფორმაცია (მსგავსად სსიპ-ებისა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს) მიერ საკუთარი შემოსავლების მობილიზების, ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, რაც არ იძლევა ამ კუთხით მიღწეული შედეგების სწორად გაანალიზების საშუალებას. მსგავსი ფაქტი სას-ის მიერ წინა პერიოდში შედგენილ მოხსენებაშიც დაფიქსირდა, თუმცა მდგომარეობა ამ მხრივ არ გამოსწორებულა, რაც მთავრობის მხრიდან შექმნილი ვითარების არასათანადოდ შეფასებაზე მიანიშნებს.

➤ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (9 თვე) ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა სახსრებმა (ნაშთი) – 4 968,95 ათასი ლარი შეადგინა (გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი – 458,3 ათასი ლარი იყო). საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშზე აკუმულირებული თანხები წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის (27 700,0 ათასი ლარის) 17,9%-ია. შესაბამისად, წლიურ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით არსებული ნაშთის პროცენტული შეფარდება მიუთითებს, რომ დროული, სწორი და სიღრმისეული ანალიზის ჩატარების პირობებში, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო როგორც ბიუჯეტის სწორად (რეალისტურად) დაგეგმვა, ისე საბიუჯეტო სახსრების თანაბარზომიერად, ეფექტიანად ხარჯვა. აღნიშნული ხელს შეუწყობდა არა მარტო

⁴ კოდი 11 05 – დევნილთა სოციალური უზრუნველყოფა, კოდი 08 02 – დევნილთა სოციალური დაცვა.

უკვე არსებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებების (პროგრამების) დაფინანსებას, არამედ ახალი პროგრამების დაგეგმვასა და შესრულებას.

ამრიგად, ბიუჯეტის ანგარიშზე ჯერ კიდევ არსებული აუთვისებელი სახსრები (ნაშთი) მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ პრობლემებზე. არსებულ ფაქტთან დაკავშირებით, აღნიშნულ იქნა სას-ის მიერ მომზადებულ მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა „2022 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე მთავრობის ანგარიშს“ და დასკვნაში „2023 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით“, თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულად არ გამოსწორებულა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ აღნიშნული გარემოება მომავალში გააანალიზოს და გაითვალისწინოს.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

1.1 შემოსულობები

აფხაზეთის ა/რ-ის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის (პერიოდში დაზუსტებული) კანონით, ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმური მაჩვენებელი 27 700,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა და 4 350,0 ათასი ლარით (18,6%-ით) გაიზარდა 2022 წლის (23 350,0 ათასი ლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 9 თვის მდგომარეობით მიღებული შემოსულობების მოცულობა (24 703,74 ათასი ლარი) წლიური გეგმის (27 700,0 ათასი ლარის) 89,1%-ს შეადგენს. 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 75,1%-ს შეადგენდა, ანუ 14%-ით ნაკლები იყო. შესაბამისად, 2023 წლის 9 თვის შემოსულობების მობილიზაციის პროცენტული მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია.

შემოსულობების კომპონენტები	2023 წლის გეგმა პერიოდში (9 თვე)	2023 წლის 9 თვის ფაქტობრივი შესრულება	შესრულების წილი წლიურ გეგმასთან (%)
საგადასახადო შემოსავლები (საშემოსავლო გადასახადი)	9 461,62	10 170,39	107,5
გრანტები	10 436,96	14 000,0	134,1


სხვა შემოსავლები	480,25	533,35	111,1
არაფინანსური აქტივების კლება	0	0	-
სულ:	20 378,83	24 703,74	121,2

ცხრილი 1. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების წლიური მაჩვენებლების შედარება 9 თვის ფაქტობრივ შესრულებასთან (ათასი ლარი)

აფხაზეთის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 20 378,83 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მოხილზებულ იქნა 24 703,74 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 121,2%, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს.

2023 წლის წლის 9 თვეში მოხილზებული შემოსულობები (24 703,74 ათასი ლარი), წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან (17 528,0 ათასი ლარი) მიმართებით, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის და გრანტების ხარჯზეა გაზრდილი:

2021-2023 წწ. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები (ათ. ლარი)




დიაგრამა 1. 2021-2023 წლების 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი).

წინა, 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია შემდეგი სახის შემოსულობები: გადასახადებისაგან მოხილზებული თანხები – 708,76 ათასი ლარით (7,5%), სპეციალური ტრანსფერის (გრანტები) თანხები – 3 563,04 ათასი ლარით (34,1%),

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები – 0,01 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები – 53,1 ათასი ლარით (11,1%).

2022-2023 წწ. მობილიზებული შემოსულობების დიაგრამა



დიაგრამა 2. 2022-2023 წლების 9 თვეში მობილიზებული შემოსულობების დიაგრამა.

წარმოდგენილი მთავრობის ანგარიშის მაჩვენებლებიდან ზოგადად, როგორც ყოველთვის, ჩანს, რომ საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი საშემოსავლო გადასახადია. გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს დაგეგმილი საშემოსავლო გადასახადის მობილიზება განხორციელდა 7,5%-ით გადაჭარბებით, თუმცა მთავრობის ანგარიშში არაა ასახული ინფორმაცია გადაჭარბების მიზეზების შესახებ.

2023 წლის ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებით გაზრდილია სხვა შემოსავლები – 53,1 ათასი ლარით (11,1%-ით), თუმცა მთავრობის ანგარიშში არაა ასახული ინფორმაცია გადაჭარბების მიზეზების შესახებ.


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	რესპუბლიკური ბიუჯეტი			
	საპროგნოზო	ფაქტი	+/-	%
სულ შემოსულობები	20 378,83	24 703,75	4 324,92	121,2
შემოსავლები	20 378,83	24 703,75	4 324,92	121,2
გადასახადები (საშემოსავლო გადასახადი)	9 461,62	10 170,39	708,76	107,5

არაფინანსური აქტივების კლება		0	0,01	0,01	-
გრანტები (სპეციალური ტრანსფერი)		10 436,96	14 000,00	3 563,04	134,1
სხვა შემოსავლები		480,25	533,354	53,10	111,1
	შემოსავლები საკუთრებიდან	480,25	325,152	-155,10	67,7
	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0	5,24	5,24	
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	1,345	1,35	
არაფინანსური აქტივების კლება		0	0,01	0,01	0

ცხრილი 2. 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო და ფაქტობრივი შემოსულობების შედარება (ათასი ლარი)

აფხაზეთის ა.რ. ბიუჯეტის 2023 წლის 9 თვის შემოსულობების პროცენტული შემცველობა სახეების მიხედვით




დიაგრამა 3. აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის 2023 წლის 9 თვის შემოსავლების პროცენტული განაწილება სახეობების მიხედვით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2023 წლის 9 თვის მონაცემებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებში ყველა სხვა შემოსავლები ჯამში 43%-ია, შესაბამისად მაღალი ხვედრითი წილი მოდის სპეციალურ ტრანსფერზე (გრანტი) – 57%. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა გრანტი

(სპეციალური ტრანსფერი), ანუ რესპუბლიკური ბიუჯეტი, ტრადიციულად, ისევე როგორც წინა წლებში, მნიშვნელოვნად დოტაციური ხასიათისაა.

**აფხაზეთის ა.რ. 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების
მაჩვენებლები დიაგრამის სახით**
■ საპროგნოზო ■ საკასო



დიაგრამა 4. აფხაზეთის ა/რ-ის 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო და საკასო შემოსავლების შედარება (ათასი ლარი)

2023 წლის 9 თვეში ფიქსირდება ფაქტობრივი შემოსავლების ზრდა საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებით – 4 324,92 ათასი ლარით და გეგმის შესრულება შეადგენს 121,2%-ს. ამასთანავე, გადასახადების (საშემოსავლო გადასახადის) ზრდა შეადგენს – 708,76 ათას ლარს და გეგმის შესრულება 107,5%-ია; სხვა შემოსავლების შესრულებაც განიცდის ზრდას 53,1 ათასი ლარით და გეგმის შესრულება შეადგენს 111,1%-ს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია გეგმით გათვალისწინებული „შემოსავლების საკუთრებიდან“ (პროცენტები) გეგმური მაჩვენებლების მაღალი შესრულებით.

მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების (განსაკუთრებით საშემოსავლო და სხვა შემოსავლების ნაწილში) არსებული გადახრების გამოწვევებზე მიზეზებზე არაფერია ნათქვამი. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ წინა პერიოდის გამოცდილებას და ჩატარებული ანალიზის შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გადახრები შესაძლოა ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვითაც იყოს გამოწვეული.

აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებული იყო „2023 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის“ პროექტზე სას-ის დასკვნაშიც.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას:

- ✓ გაგრძელდეს მუშაობა ბიუჯეტის ფორმირების დროს საბიუჯეტო სახსრების სწორად დაგეგმვის საქმეში. ბიუჯეტის შედგენისას, მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი ხარჯების ოპტიმალურად გაანგარიშება-დაგეგმვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის შესრულებას;
- ✓ დაისახოს ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის, განსაკუთრებით სხვა შემოსავლების კუთხით, სწორ და რეალისტურ დაგეგმვას.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2023 წლის ბიუჯეტის (საანგარიშო პერიოდისთვის დაზუსტებული)⁵ კანონით 20 664,57 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 9 თვის მდგომარეობით, ათვისების მაჩვენებელმა (20 330,54 ათასი ლარი) წლიური გეგმის (28 295,34 ათასი ლარი) – 71,9%, ხოლო 9 თვის გეგმის (20 664,57 ათასი ლარი) – 98,4% შეადგინა. შესაბამისად, მიმდინარე წლის 9 თვის (ფაქტი/გეგმა) მაჩვენებელი (98,4%) 0,9%-ით აღემატება 2022 წლის 9 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს (97,5%). უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების შეუსრულებლობის ფაქტი.

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 2 190,23 ათასი ლარით, რაც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

⁵ მიმდინარე წლის 9 თვის მაჩვენებელი.

დასახელება	2022 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	სხვაობა
გადასახდელები	18 474,34	20 664,57	2 190,23
შრომის ანაზღაურება	7 867,49	8 667,38	799,89
საქონელი და მომსახურება	3 416,00	3 370,94	-45,06
სუბსიდიები	4 056,05	5 505,37	1 449,32
სოციალური უზრუნველყოფა	1 965,42	1 847,84	-117,58
სხვა ხარჯები	773,429	914,935	141,51
არაფინანსური აქტივების ზრდა	377,16	336,541	-40,62
ვალდებულებების კლება	0	0	0,00
გრანტები	18,786	21,57	2,78

ცხრილი 3. 2022-2023 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმის შედარება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათასი ლარი)



დიაგრამა 5. 2022-2023 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის გეგმების შედარება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათასი ლარი)

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „სუბსიდიები“ გაზრდილია 35,7%-ით, „სხვა ხარჯები“ ასევე გაზრდილია 18,3%-ით, შემცირებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 10,8%-ით.

ზემოაღნიშნული მუხლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდის/კლების მაჩვენებლებთან დაკავშირებით, არაა წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის 9 თვის გადასახდელები, წინა, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია და საერთო ჯამში ზრდა შეადგენს 2 190,23 ათას ლარს (11,9 %-ს).

ამრიგად, 2023 წლის 9 თვის ხარჯების გეგმა შესრულებულია 98,4%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა შესრულებულია 93,1%-ით.

გადასახდელების ცალკეული კომპონენტის შესრულების მიმდინარე მაჩვენებლები ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ და 9 თვის გეგმებთან შემდეგია:

	2023 წლის წლიური გეგმა ბიუჯეტის კანონით	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის ფაქტობრივი მონაცემები 9 თვე	ფაქტი/წლიუ რი გეგმა (%)	ფაქტი/ გეგმა (9 თვის) (%)
ხარჯები	27 991,841	20 328,030	20 017,339	71,5	98,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	303,5	336,541	313,189	103,2	93,1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0.00	0.00	0.00	0.00	0
ვალდებულებებ ის კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0
გადასახდელები	28 295,341	20 664,571	20 330,528	87,3	98,3

ცხრილი 4. 2022 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ცალკეული კომპონენტის შესრულების მდგომარეობას, საყურადღებოა 2023 წლის გეგმური და 9 თვის ათვისებული სახსრების დინამიკა. კერძოდ, იმ


შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის (მოხსენების შედგენის მომენტისათვის დაზუსტებული) წლიური გეგმური მაჩვენებელი (28 295,34 ათასი ლარი) შესრულდება, მივიღებთ, რომ 2023 წლის ბოლო 3 თვის ხარჯვითი ნაწილის საშუალო თვიური მაჩვენებელი 2655,0⁶ ათას ლარს გაუტოლდება, რაც მიმდინარე 9 თვის საშუალო მაჩვენებელს (2 259,0⁷ ათასი ლარი) 18%-ით გადააჭარბებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ გასული წლების ტენდენციებს, გადასახდელების ათვისება ბოლო 3 თვის განმავლობაში თანაბრად არ მიმდინარეობს და მკვეთრად იზრდება დეკემბერში, აღნიშნული კი ქმნის წლის ბოლოს აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, ანალოგიური არასახარბიელო მდგომარეობა იყო გასული 2022 წლის 9 თვეშიც (მოსალოდნელი საშუალო თვიური ზრდის მაჩვენებელი 25%-ს უტოლდებოდა), ამავე დროს დეკემბერში ათვისებული რესურსის მოცულობამ წინა 11 თვის ხარჯვის საშუალო მაჩვენებელს 45%-ით⁸ გადააჭარბა. აღნიშნული ზრდა ძირითადად უკავშირდებოდა „საქონლისა და მომსახურების“, „შრომის ანაზღაურების“, „სუბსიდიებისა და სხვა ხარჯების“ კომპონენტების ზრდას.

ცალკეულ შემთხვევაში, ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, თუმცა ზემოაღნიშნული ზრდა საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სას-ის მიერ მომზადებულ წინა მოხსენებაშიც, თუმცა მდგომარეობა, სამწუხაროდ, არ გამოსწორებულა, რაც მთავრობის მხრიდან შექმნილი ვითარების არასათანადოდ შეფასებაზე მიუთითებს.

⁶ (28,295-20,331)/3 .

⁷ 20,331/9.

⁸ 2,889/2,005X100



დიაგრამა 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ყოველთვიური დინამიკა 2021-2023 წლებში (მლნ ლარი)

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს:

აუცილებელია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულ ათვისებას.

2.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსის კომპონენტების ფაქტობრივი შესრულების შედარება დაზუსტებულ გეგმასთან წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ბიუჯეტის ბალანსი	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტობრივი შესრულება	გეგმის შესრულების %
შემოსავლები	20 378,827	24 703,74	120,3

- ხარჯები	20 328,03	20 017,339	98,5%
= საოპერაციო სალდო	50,797	4 686,4	
- არაფინანსური აქტივების ცვლილება	336,541	313,189	93,1%
= მთლიანი სალდო	-285,744	4 373,212	-
- ფინანსური აქტივების ცვლილება	0	4 373,212	-
+ ვალდებულებების ცვლილება	0	0	-
ბალანსი	0	0	-
ნაშთის ცვლილება	-285,744	4 373,212	-
წლის დასაწყისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები		595,762	
საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები		4968,95	

ცხრილი 5. 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის მონაცემების შედარება (ათასი ლარი)

საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებებისათვის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის და დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში თანხების გადანაწილება განხორციელებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული დასაშვები პროცენტის ფარგლებში.

2.1.1 მხარჯავი დაწესებულებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის 9 თვის გადასახდელები განისაზღვრა 20 665 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმური მაჩვენებლის 98,4% (20 331 ათასი ლარი).

რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილ იქნა შემდეგნაირად:

დასახელება	2023 წლის გეგმა პერიოდში	2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება	შესრულება	შესრულების %	საკასო შესრულების ხვედრითი წილი %
1	2	3	4 (3-2)	5(3/2)	6
შრომის ანაზღაურება	8 667	8 625	(43)	99,5	42,4
საქონელი და მომსახურება	3 371	3 204	(167)	95,0	15,8
სუბსიდიები	5 505	5 442	(63)	98,9	26,8
გრანტები	22	22	-	100,0	0,1
სოციალური უზრუნველყოფა	1 848	1 845	(2)	99,9	9,1
სხვა ხარჯები	915	880	(35)	96,2	4,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	337	313	(23)	93,1	1,5
სულ	20 665	20 331	(334)	98,4	100,0

ცხრილი 6. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების 9 თვის მონაცემები (ათასი ლარი)

ეკონომიკური კლასიფიკაციით გაწეული ბიუჯეტის ხარჯებიდან ჩანს, რომ მთლიანი ხარჯების 58,2% მოდის „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებზე, მაშინ როდესაც „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ხვედრითი წილი მხოლოდ 9,1%-ია. ამავდროულად, დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ (1,5%) და „სხვა ხარჯების“ (4,3%) მუხლები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი ცხდაყოფს, არათანაბარზომიერი (მკვეთრად განსხვავებული) დაგეგმვა/შესრულების ფაქტს.

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულება წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:


დასახელება	2023 წლის გეგმა პერიოდში	2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება	შესრულება	შესრულება (%)	საკასო შესრ ხვედრითი წილი (%)
1	2	3	4	5 (2/3)	6
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13 286	13 048	(239)	98,2	64,2
ეკონომიკური საქმიანობა	1 314	1 282	(33)	97,5	6,3
ჯანმრთელობის დაცვა	1 134	1 129	(5)	99,6	5,6

დასვენება, კულტურა და რელიგია	3 382	3 353	(30)	99,1	16,5
განათლება	640	620	(20)	96,9	3,0
სოციალური დაცვა	908	899	(8)	99,1	4,4
ჯამი	20 665	20 331	(334)	98,4	100,0

ცხრილი 7. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების 9 თვის მონაცემები (ათასი ლარი)

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზით დგინდება, რომ მთლიანი ხარჯების 64,2% მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, მაშინ როდესაც რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი რიგის პრიორიტეტების – ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა და ჯამში მხოლოდ 8,6%-ს შეადგენს. ასევე მეტად დაბალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ეკონომიკური საქმიანობა – 6,3%. დასვენება, კულტურა და რელიგია მთლიანი ხარჯების მხოლოდ 16,5%-ს შეადგენს. შესაბამისად, ფუნქციონალურ ჭრილში ბიუჯეტის საგასავლო (ხარჯვით) ნაწილში საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი (მკვეთრი განსხვავებებით) დაგეგმვა-ხარჯვა, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებზე მეტყველებს და აშკარად მიუთითებს მოხმარებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის არსებობაზე.

2023 წლის 9 თვეში ხარჯების დიაგრამა ფუნქციონალურ ჭრილში



დიაგრამა 7. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

ბიუჯეტის გადასახდელების როგორც ფუნქციონალურ ჭრილში, ისე ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მთავრობის ანგარიშში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობა არ იძლევა საშუალებას, დაზუსტებით (მტკიცებით ფორმად) ითქვას იმის შესახებ, გადასახდელების დაბალი მაჩვენებლები ფაქტობრივად გამოწვეულია რესურსების გონივრული დაზოგვითა და მომჭირნეობით ხარჯვით, თუ წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

აფხაზეთის ა/რ-ის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და კულტურის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ცალკეული ქვეპროგრამა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამების (ქვეპროგრამების) საკასო შესრულება:

პროგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება	%
05 03 19	პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიული გამოკვლევა PET/CT)	5,3	4,75	89,6
05 08 08	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა რეფერალური მომსახურების თანადაფინანსება	6,0	5,38	89,6
	ჯამი:	11,3	10,13	89,6

ცხრილი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამების (ქვეპროგრამების) 2023 წლის 9 თვის საკასო მონაცემების შედარება შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით (ათასი ლარი).

განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამების (ქვეპროგრამების) საკასო შესრულება:

პროგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება	%
06 04 23	თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები	5,68	4,88	85,9
06 04 11	„დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“	2,08	1,64	78,8
06 11 05	ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი შავნაბადა	68,0	56,72	83,4
06 27 02 08	სიყვარულით, თქვენთვის	17,256	13,161	76,3
	ჯამი:	93,016	76,401	82,1

ცხრილი 9. განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამების (ქვეპროგრამების) 2023 წლის 9 თვის საკასო მონაცემების შედარება შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით (ათასი ლარი)

ასევე შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებლებით ხასიათდება სხვა მხარჯავი დაწესებულებები და მათი ქვეპროგრამები:

პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2022 წლის 9 თვის საკასო შესრულება	%
11 04 02	ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობა	5,515	1,515	27,5
19 02 01	სამშვიდობო რესურსი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა	61,425	56,237	91,6
	ჯამი:	66,94	57,752	86,3

ცხრილი 10. 2022 წლის 9 თვის საკასო მონაცემების მიხედვით შედარებით დაბალი შესრულების მქონე მხარჯავი დაწესებულებების ქვეპროგრამები (ათასი ლარი)

ამრიგად, მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არაა ასახული მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები. შესაბამისად, სას მოკლებულია მტკიცებით ფორმაში წარმოადგინოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გადასახდელების დაბალი მაჩვენებლები ფაქტობრივად გამოწვეულია რესურსების გონივრული დაზოგვითა და მომჭირნეობით ხარჯვით, თუ წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და მხარჯავ დაწესებულებებს:

- ✓ წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. შესაბამისად, მხარჯავი დაწესებულებებისა და მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება უნდა გამახვილდეს დამტკიცებული გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების შესრულებასა და დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული, გასული პერიოდის მსგავსად, წლის ბოლოს საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ათვისება;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და კულტურის, აფხაზეთიდან უძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ცალკეული პროგრამის სწორად დაგეგმვას და მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით შესრულებას.

2.1.2 არაფინანსური აქტივების ცვლილება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის (საანგარიშო პერიოდისთვის დაზუსტებული) 2023 წლის 9 თვის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 337,0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 313,0 ათასი ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (353,1 ათასი ლარი) 88,7%-ს შეადგენს (ანუ შემცირებულია 11,3%-ით) და მიმდინარე პერიოდის გეგმის 93,1%-ია.

ამრიგად, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმური მაჩვენებელი სრულად არაა შესრულებული. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმური მაჩვენებელი შესრულდება, რაც ზოგადად წინა წლების პრაქტიკით დასტურდება, შესაძლოა შეიქმნას წლის ბოლო კვარტალში აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკები, ხოლო გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნათლად დადასტურდება არასათანადო დაგეგმვისა და საბიუჯეტო რესურსების არასწორად განაწილების ფაქტი.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და მხარჯავ დაწესებულებებს:

- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდის პროცესი შესრულების თანაბარზომიერი და მაღალი მაჩვენებლით უნდა გამოირჩეოდეს. ამასთანავე, მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან ყურადღებაა გასამახვილებელი არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმური მაჩვენებლების შესრულებაზე.

2.1.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირები

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა წლებში, ბიუჯეტიდან სუბსიდირების წესით დაფინანსებულია შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (შემდგომ – სსიპ-ები):

დასახელება	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება	%
სსიპ სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი	513,2	511,505	99,7
სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	358,895	358,746	100
სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“	693,674	690,502	99,5

სსიპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	768,374	764,162	99,5
სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	302,96	302,868	100
ჯამი:	2 637,103	2 627,783	99,6

ცხრილი 11. 2023 წლის 9 თვეში სსიპ-ებზე განხორციელებული სუბსიდიები (ათასი ლარი)

2023 წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იმ პირობებში, როდესაც საკუთარი შემოსავლები ფაქტობრივად არსებითად არ გაზრდილა, გაზრდილია ზოგიერთი სსიპ-ის⁹ დაფინანსების გეგმა და, შესაბამისად, საკასო შესრულება.

ზოგადად, აუცილებლობიდან გამომდინარე, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, სსიპ-ებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა გასათვალისწინებელია საკუთარი შემოსავლების ზრდის ტენდენციის უზრუნველყოფა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო დაფინანსების შედარებით შემცირებას და რესურსების გონივრულად და ეფექტიანად განაწილებას.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

- ✓ სსიპ-ებიდან მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, სწორად (ადეკვატურად) იქნეს განსაზღვრული რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სსიპ-ების წლიური დაფინანსების თანხების ოდენობა;
- ✓ ორგანიზაციების (სსიპ-ები) სუბსიდირების წესით დაფინანსების პრაქტიკის სრულყოფის მიზნით, ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებიდან საწარმოო-საფინანსო გეგმების მიღება-შესრულების საკითხის გათვალისწინებით, დაფინანსებული თანხები უნდა მიიმართოს მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის

⁹ სსიპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო, სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

მიზნებზე. ყურადღება გამახვილდეს სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების ზრდაზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღნიშნულ იქნა სას-ის მიერ მომზადებულ წინა მოხსენებასა და დასკვნაში, თუმცა მდგომარეობა გამოსწორებულია ნაწილობრივ.

2.1.4 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება


შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მომუშავეთა კონკრეტული ვადით დაქირავება ინსტიტუტიციებს აძლევს მოქნილობას, ეფექტიანად და დროულად ჩაანაცვლონ დროებით არმყოფი თანამშრომლები, პოტენციური თანამშრომლების კვალიფიკაცია და უნარები შეაფასონ მათ მუდმივ თანამშრომლებად აყვანამდე, ადეკვატურად უპასუხონ საქმიანობის ციკლობიდან გამომდინარე წარმოქმნილ დამატებით სამუშაო ვალდებულებებს ან განახორციელონ კონკრეტული არასტანდარტული/არადირითადი საქმიანობა, რომლის შესაბამისი სპეციალიზაცია უშუალოდ უწყებას არ გააჩნია.

) საყურადღებოა, რომ კანონი არ განსაზღვრავს ხელშეკრულების მაქსიმალური ხანგრძლივობის პერიოდს, რაც იმთავითვე აჩენს რისკს, რომ თანამშრომელთა ხელშეკრულებით აყვანა, რიგ შემთხვევებში განხორციელდეს განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (შტატგარეშე თანამშრომელი) მოსამსახურეა, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება;

) „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრები არასრულყოფილად ასახავს ამ მიზნობრიობით ათვისებული რესურსების ჯამურ მოცულობას. კერძოდ, 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, ამ მუხლით რესპუბლიკური ბიუჯეტიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულმა რესურსმა 1 662,215 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (833,05 ათასი ლარი) – 93%-ით, 2019 წლის მაჩვენებელს (975,0 ათასი ლარი) – 70%-ით, ხოლო 2020 წლის მაჩვენებელს (1 140,6 ათასი

ლარი) – 46%-ით, 2021 წლის მაჩვენებელს (1 230,5 ათასი ლარი) – 35%-ით, 2022 წლის მაჩვენებელს (1 520,92 ათასი ლარი) – 9%-ით აღემატება.

ამავდროულად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება (1 662,215 ათასი ლარი), „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯების (3 203,845 ათასი ლარი) 52%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია.



დიაგრამა 8. 2021-2023 წლების 9 თვეში შტატგარეშე მომუშავეების გეგმური და ფაქტობრივი მონაცემების შედარება (მლნ ლარი)

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას:

- ✓ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი მიზანშეწონილია მოიცავდეს ინფორმაციას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობის გეგმური მაჩვენებლების შესახებ, რაც ამ მიმართულებით გათვალისწინებული საბიუჯეტო რესურსების გეგმური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობაზე დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას;
- ✓ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული დანახარჯების ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკური ბიუჯეტის

მიმდინარე შესრულების შესახებ ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციებში წლის განმავლობაში ფაქტობრივად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობების შესახებ.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და არსებითი ცვლილებები, ზოგიერთი ობიექტური მიზეზის გარდა, მიუთითებს შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში არსებულ გარკვეულ ხარვეზებზე. ორივე ფაქტორი საბოლოო ჯამში ხელს უშლის საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალურად მართვას, მაგალითად:

-) აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 212,143 ათასი ლარის შესყიდვა. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, შესყიდვების გეგმაში განხორციელებული 90 ცვლილების და 35 ახლად დამატებული შესყიდვის შედეგად, გეგმის მოცულობა გაიზარდა 38%-ით (81,563 ათასი ლარით) და შეადგინა 293,706 ათასი ლარი;
-) აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 399,870 ათასი ლარის შესყიდვა. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, შესყიდვების გეგმაში განხორციელებული 7 ცვლილების და 13 ახლად დამატებული შესყიდვის შედეგად, გეგმის მოცულობა გაიზარდა 11%-ით (43,435 ათასი ლარით) და შეადგინა 443,305 ათასი ლარი;
-) აფხაზეთის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 856,840 ათასი ლარის შესყიდვა. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, შესყიდვების გეგმაში განხორციელებული 39 ცვლილების და 27 ახლად დამატებული შესყიდვის შედეგად გეგმის მოცულობა შემცირდა 39%-ით (338,771 ათასი ლარით) და შეადგინა 518,069 ათასი ლარი.

რიგ შემთხვევაში, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, მხარჯავი უწყებების მიერ სწორად ვერ განისაზღვრა თავდაპირველი მოთხოვნები სახელმწიფო შესყიდვებზე. ამავდროულად, როგორც წინა წლების აუდიტორული შემოწმებებით გამოვლენილმა პრაქტიკამ გვიჩვენა, შესაძლოა სათანადოდ არ ტარდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა და მიმდინარე პერიოდში შესასყიდი სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა. შედეგად,

შესყიდვების პროცესში აუცილებელი გახდა მთელი რიგი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება, რაც მიანიშნებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ სისუსტეებზე და კონკურენციის არარსებობის პირობებში, ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის მხარჯავ დაწესებულებებს:

- ✓ შესყიდვების გეგმებში განხორციელებული ცვლილებები და მათ საფუძველზე დაჩქარებული ტემპით საბიუჯეტო თანხების გახარჯვა ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო შესყიდვების სწორად დაგეგმვა და საბიუჯეტო სახსრების თანაბარზომიერი ხარჯვა;
- ✓ ბაზრის შესწავლა აუცილებელია განხორციელდეს შესყიდვების სხვადასხვა ეტაპზე. ინფორმაცია უნდა შეიკრიბოს განსხვავებული წყაროებიდან და შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ბაზრის შესწავლის შედეგების სათანადო დოკუმენტირება.

2.3 მთავრობის სარეზერვო ფონდი

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში თანხების გამოყოფა წარმოებდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების შესაბამისად.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, 17 შემთხვევაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 20 შემთხვევა) გამოიყო 113 142 ლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 74 067 ლარი), რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 92 833 ლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 73 667 ლარი).

ისევე როგორც გასულ წელს, დევნილთა მატერიალური დახმარების მიზნით, მიმდინარე წლის 9 თვეშიც გაიცა სარეზერვო ფონდიდან თანხები, კერძოდ:

6 შემთხვევაში – 5 000 ლარი (წინა წლის ანალოგიური პერიოდის 5 შემთხვევაში – 5200 ლარი) გაცემულია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის მატერიალური დახმარების მიზნით,

ხოლო 9 შემთხვევაში – 87 833 ლარი (წინა წლის ანალოგიური პერიოდის 15 შემთხვევაში – 68 467 ლარი) გახარჯულია სხვადასხვა ღონისძიებაზე, მათ შორის:

- ✓ აფხაზეთის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის 1 შემთხვევაში – 2 000 ლარი;
- ✓ ა(ა)იპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრისათვის 1 შემთხვევაში – 6 497 ლარი;
- ✓ აფხაზეთის ა/რ-ის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროსათვის 3 შემთხვევაში – 34 115 ლარი;
- ✓ სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „აფხაზეთისათვის“ 2 შემთხვევაში – 39 260 ლარი;
- ✓ აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროსათვის 1 შემთხვევაში – 4 950 ლარი;
- ✓ სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის 1 შემთხვევაში – 1 011 ლარი;

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა სახსრები ისეთი მიზნებისათვის (მაგალითად, დევნილთა მატერიალური დახმარებები), რასაც ითვალისწინებს აფხაზეთის ა/რ-ის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროსა და ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის წარმომადგენლობის შესაბამისი პროგრამები.¹⁰ ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა სხვადასხვა იმგვარი მიმდინარე ღონისძიებისათვის, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელი იყო შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებში, მიუთითებს რესპუბლიკური ბიუჯეტის დეგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას:

¹⁰ კოდი 11 05 – დევნილთა სოციალური უზრუნველყოფა, კოდი 08 02 – დევნილთა სოციალური დაცვა.

სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა განხორციელდეს მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთებით და რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად; ამავდროულად აუცილებელია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან უზრუნველყოფილ იქნეს წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების სწორი და დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.

2.4 აღრიცხვა-ანგარიშგება

საჯარო სექტორში, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება ემსახურება როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ინტერესებს. საჯარო ფინანსების სწორად აღრიცხვა ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკის სწორ და ეფექტიან მართვას. მისი გამჭვირვალობა ქვეყნის სტაბილურობისა და მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში საშუალებას აძლევს მთავრობას, გააანალიზოს ფინანსური ოპერაციები დასახული მიზნების მიღწევისთვის.

ანგარიში მზადდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების დეტალურ ინფორმაციას.

9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მზადდება ხაზინის მონაცემებისა და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ანგარიშგებების საფუძველზე.

➤ მართალია, ამ მხრივ ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები სსიპ-ების შემოსავლების შესახებ, თუმცა სსიპ-ების მსგავსად, არ არის სრულყოფილი და დეტალური ინფორმაცია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ საკუთარი შემოსავლების მობილიზების, მიღწეული შედეგებისა და მათი ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის თაობაზე. აღნიშნული ფაქტის შესახებ მითითებულ იქნა სას-ის მიერ მომზადებულ წინა მოხსენებაშიც, თუმცა მდგომარეობა, სამწუხაროდ, არ გამოსწორებულა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მთავრობამ სას-ის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.

ამრიგად, მთავრობის ანგარიშში არაა წარმოდგენილი ინფორმაცია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს-ების) მიერ საკუთარი შემოსავლების მობილიზებისა და ამ კუთხით მიღწეული შედეგების შესახებ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს განეკუთვნება.

რეკომენდაციები:

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

მთავრობის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს-ების) მიერ საკუთარი შემოსავლების მობილიზების შესახებ, რათა სწორად იქნეს გაანალიზებული ამ კუთხით მიღწეული შედეგები.

3. ნაშთი

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები (ნაშთი) შეადგენდა 458,3 ათას ლარს, როგორც 2022 წელს აუთვისებელი თანხა. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (9 თვე) ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა სახსრებმა (ნაშთმა) 4 968,95 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები (ნაშთი) – 4 510,65 ათასი ლარით გაიზარდა. ბიუჯეტის ანგარიშზე ჯერ კიდევ არსებული აუთვისებელი სახსრები (ნაშთი)¹¹ მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე. შესაბამისად, ბიუჯეტის ანგარიშზე თავისუფალი სახსრების პერმანენტული არსებობა რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის უკვე დამახასიათებელი, აშკარად უარყოფითი და არასახარბიელო მაჩვენებელია. ამავდროულად, აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი არასათანადო ღონისძიებების გატარება ან, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობების არარსებობა, არ იძლევა რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიების (პროგრამის) მაღალი მაჩვენებლებით დაგეგმვისა და შესრულების შესაძლებლობას. აქვე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არსებული პრობლემების შესახებ სას-ის მიერ აღინიშნა აფხაზეთის ა/რ-ის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის და წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებთან დაკავშირებით მომზადებულ მოხსენებებში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც. მიუხედავად ამისა, არსებული

¹¹ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 27 700 ათასი ლარის 17,9%-ია.

მდგომარეობა სრულად ჯერ კიდევ არაა გამოსწორებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ აღნიშნული გარემოება მომავალში გააანალიზოს და გაითვალისწინოს.

ამრიგად, ბიუჯეტის ანგარიშზე აკუმულირებული თანხები წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის (27 700,0 ათასი ლარის) 17,9%-ია. შესაბამისად, წლიურ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით არსებული ნაშთი მიუთითებს, რომ დროული, სწორი და სიღრმისეული ანალიზის ჩატარების პირობებში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო როგორც ბიუჯეტის სწორად (რეალისტურად) დაგეგმვა, ისე საბიუჯეტო სახსრების თანაბარზომიერად, ეფექტიანად ხარჯვა, აღნიშნული კი ხელს შეუწყობდა არა მარტო უკვე არსებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებების (პროგრამების) დაფინანსებას, არამედ ახალი პროგრამების დაგეგმვასა და შესრულებას.

რეკომენდაციები

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების შესრულებასა და ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული აუთვისებელი სახსრების (ნაშთის) არსებობაზე, რაც მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე. ამავდროულად, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით, თავისუფალი ნაშთის დროულად და ეფექტიანად განწერა საბიუჯეტო ასიგნებებში (განსაკუთრებით, სოციალურ-კულტურულ, საგანმანათლებლო თუ ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებით) უზრუნველყოფს უკვე დაგეგმილი და მომავალში დასაგეგმი ახალი პროგრამების წარმატებით შესრულებას.